ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13241212**
თარიღი:**30/04/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ევროკავშირისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის გრანტის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო'' მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-7 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის ხელშემწყობი გოეთეს ინსტიტუტის საგრანტო პროექტის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ ფარგლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდასაჭერად გრანტის მიღებასა და ხელშეკრულებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა), მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი